სპორტული ორგანიზაციების აღიარებისა და დაფინანსების საბჭოს

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. სპორტული ორგანიზაციების აღიარებისა და დაფინანსების საბჭოს შექმნა და მისი შემადგენლობა

1. საქართველოში სახელმწიფოს მიერ სპორტული ორგანიზაციების აღიარებისა და დაფინანსების, ასევე, სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში წარმოშობილი საკითხების განხილვის მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან (შემდგომში - სამინისტრო) იქმნება სათათბირო ორგანო - სპორტული ორგანიზაციების აღიარებისა და დაფინანსების საბჭო (შემდგომში - საბჭო).

2. საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს შემდეგი შემადგენლობით:
ა) მინისტრის მოადგილე (სპორტის განვითარების დეპარტამენტის ზედამხედველი), საბჭოს თავმჯდომარე;
ბ) სამინისტროს სპორტის განვითარების დეპარტამენტის უფროსი;
გ) სამინისტროს სპორტის განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილეები;
დ) სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების სამმართველოს უფროსი, საბჭოს მდივანი (არ ყოფნის შემთხვევაში, მისი მოვალეობის შემსრულებელი);
ე) სამინისტროს მაღალი მიღწევების სპორტის სამმართველოს უფროსი (არ ყოფნის შემთხვევაში, მისი ფუნქციათა შემსრულებელი);
ვ) სამინისტროს მასობრივი სპორტის სამმართველოს უფროსი (არ ყოფნის შემთხვევაში, მისი ფუნქციათა შემსრულებელი);
ზ) საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის ორი წარმომადგენელი;
თ) ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის (ს/კ 202904054) ორი წარმომადგენელი;
ი) ა(ა)იპ საქართველოს პარალიმპიური კომიტეტის (ს/კ 400193090) ერთი წარმომადგენელი;
კ) ა(ა)იპ საქართველოს სპორტის არაოლიმპიურ სახეობათა ეროვნული კომიტეტის (ს/კ 404527749) ერთი წარმომადგენელი.

3. შესაბამისი საკითხის თაობაზე, სპეციალური სტუმრის სტატუსით, საბჭოს სხდომაზე შესაძლებელია მოწვეულ იქნას ერთი ან რამდენიმე სპორტული ორგანიზაციის წარმომადგენელი, ხმის უფლების გარეშე.

მუხლი 2. საბჭოს სხდომა

1. საბჭოს სხდომები მოიწვევა წელიწადში სულ მცირე ერთხელ, საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით.

2. საბჭო გადაწყვეტილებაზე უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ნახევარზე მეტი.

3. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით, ხმების გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

4. საბჭო უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს ელექტრონულად.

5. საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოს მდივანი.

თავი II. სპორტული ორგანიზაციის აღიარება და დაფინანსება

მუხლი 3. განხილვის დასაშვებობა

1. საბჭო განიხილავს მხოლოდ იმ სპორტული ორგანიზაციის აღიარების საკითხს, რომელიც დაფუძნებულია არანაკლებ 6 თვით ადრე, აღიარების მოპოვების შესახებ განაცხადის წარდგენამდე.

2. საბჭო განიხილავს მხოლოდ იმ სპორტული ორგანიზაციის დაფინანსების საკითხს, რომელიც აღიარებულია არანაკლებ 6 თვისა საკითხის განხილვამდე.

3. აღიარების შესახებ განაცხადების მიღების თაობაზე ინფორმაცია ქვეყნდება საჯაროდ, სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდის მეშვეობით (განაცხადების მიღებისა და დასრულების ვადების და წარსადგენი დოკუმენტაციის მითითებით).

4. საბჭოს მიერ სპორტული ორგანიზაციის აღიარების შესახებ გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია, თუკი სპორტის სახეობაში ან სპორტული ორგანიზაციის კატეგორიაში არ არსებობს აღიარებული სპორტული ორგანიზაცია.

მუხლი 4. აღიარებისა და დაფინანსების კრიტერიუმები

1. საბჭო სპორტული ორგანიზაციების აღიარებისა და დაფინანსების საკითხის განხილვისას, სპორტული ორგანიზაციის საქმიანობას აფასებს საბჭოს გადაწყვეტილებითა და მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული აღიარებისა და დაფინანსების კრიტერიუმების საფუძველზე.

2. სპორტული ორგანიზაციების დაფინანსების პარამეტრების განსაზღვრისას, საბჭო ხელმძღვანელობს დადგენილი კრიტერიუმებით, აფასებს ორგანიზაციის საქმიანობას ქულათა სისტემის შესაბამისად და ჯამური 100 ქულის ფარგლებში ანიჭებს მას ქულას.

მუხლი 5. კოეფიციენტის განსაზღვრა

საბჭო სპორტულ ორგანიზაციათა წლიური დაფინანსების ოდენობის განსაზღვრამდე ადგენს პროცენტულ მაჩვენებელს, რომლითაც გამოითვლება ზრდისა და კლების კოეფიციენტი, შესაფასებელი წლის დაფინანსების ოდენობასთან შეფარდებით.

მუხლი 6. სპორტული ორგანიზაციის დაფინანსების გამოთვლის წესი

1. თუ სპორტული ორგანიზაციის შესაფასებელი წლის საქმიანობის შეფასების მაჩვენებელი უტოლდება 50 ქულას, საბჭო გასცემს რეკომენდაციას დაფინანსების წლიური ოდენობის უცვლელად დატოვების თაობაზე.

2. თუ სპორტული ორგანიზაციის შესაფასებელი წლის საქმიანობის შეფასების მაჩვენებელი 50 ქულაზე ნაკლებია, საბჭო გასცემს რეკომენდაციას, სპორტული ორგანიზაციის წლიური დაფინანსების ოდენობის შემცირების თაობაზე, ქულათა სხვაობის შესაბამისი პროცენტული მაჩვენებლით.

3. თუ სპორტული ორგანიზაციის შესაფასებელი წლის საქმიანობის შეფასების მაჩვენებელი აღემატება 50 ქულას, საბჭო გასცემს რეკომენდაციას, სპორტული ორგანიზაციის წლიური დაფინანსების გაზრდის თაობაზე, ქულათა სხვაობის შესაბამისი პროცენტული მაჩვენებლით.

4. საბჭოს მიერ სპორტული ორგანიზაციისთვის მინიჭებული ქულათა ჯამით გამოთვლილი მატების ან კლების კოეფიციენტი თანხობრივად მრგვალდება ასეულ ლარამდე.

5. დაფინანსების კლებისა და მატებისა მაჩვენებელი გამოითვლება შემდეგი სახით:

ა) სპორტულ ორგანიზაციებთან მიმართებით, რომელთა დაფინანსების მოცულობა შესაფასებელ წელს ნაკლებია 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარზე, პროცენტული მაჩვენებელი გამოითვლება შესაფასებელი წლის დაფინანსების ოდენობიდან;
ბ) სპორტულ ორგანიზაციებთან მიმართებით, რომელთა დაფინანსების მოცულობა შესაფასებელ წელს აღემატებოდა 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარს, პროცენტული მაჩვენებელი გამოითვლება 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარიდან;
გ) სპორტულ ორგანიზაციებთან მიმართებით, რომელთაც არ გააჩნდათ დაფინანსება შესაფასებელ წელს, ან რომელთა დაფინანსება 100 000 (ასი ათასი) ლარზე ნაკლებია, დაფინანსების განსაზღვრისას პროცენტული მაჩვენებელი გამოითვლება 100 000 (ასი ათასი) ლარიდან;
დ) სპორტულ ორგანიზაციებთან მიმართებით, რომელთა შესაფასებელი წლის ფაქტობრივი ხარჯი შეადგენს 100 000 (ასი ათასი) ლარს ან ნაკლებს, არ უნდა იქნეს გათვალისწინებული კლების მაჩვენებელი.

6. საბჭოს მიერ დადგენილ ქულათა კოეფიციენტი არ ვრცელდება იმ სპორტულ ორგანიზაციებზე, რომელთა სახეობის თაობაზე საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული არის გრძელვადიანი განვითარების სახელმწიფო პროგრამა.

7. სპორტული ორგანიზაციების საქმიანობის შეფასებისა და მათთვის განსაზღვრული წლიური ლიმიტების დაჯამების შემდეგ, იმ შემთხვევაში, თუკი სამინისტროსათვის საანგარიშო წელს სპორტული ორგანიზაციების დაფინანსებისათვის გამოყოფილი

საბიუჯეტო სახსრებიდან დარჩება თანხა, საბჭო უფლებამოსილია, გასცეს რეკომენდაცია აღნიშნული თანხის რეზერვის სახით აღიარებულ სპორტულ ორგანიზაციებზე გადანაწილების შესახებ, შესაბამისი დასაბუთებითა და საჭიროების გათვალისწინებით.

8. საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია, საბჭოს მოწვევის გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება სპორტული ორგანიზაციისათვის განსაზღვრული წლიური ლიმიტის 15%-ის ფარგლებში ცვლილების შესახებ.

მუხლი 7. აღიარების ან/და დაფინანსების შეჩერება ან შეწყვეტა

საბჭო გასცემს სპორტული ორგანიზაციის აღიარების შეჩერების ან დაფინანსების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის, ან დაფინანსების წლიური ლიმიტის შემცირების რეკომენდაციას, სპორტული ორგანიზაციის საქმიანობის ამ დებულების მე-4 მუხლით განსაზღვრული წესით შეფასების საფუძველზე.

მუხლი 8. საბჭოს გადაწყვეტილების გაფორმება

ამ დებულების მე-2 მუხლის მე-5 პუნქტში გათვალისწინებული ოქმით გაფორმებული საბჭოს გადაწყვეტილება მტკიცდება მინისტრის მოადგილის (სპორტის განვითარების დეპარტამენტის ზედამხედველი) ბრძანებით.

თავი III. დასკვნითი დებულებები

მუხლი 9. საბჭოს სამდივნო

1. საბჭოს სამდივნო უზრუნველყოფს საბჭოს სხდომის მომზადებას და საბჭოსთვის შესაბამისი დოკუმენტაციის დამუშავებას და სხდომაზე წარდგენას, ასევე ამუშავებს საბჭოს მიერ მიღებულ დოკუმენტაციას და ამზადებს შესაბამისი ოქმების პროექტებს.

2. საბჭოს სამდივნოს ხელმძღვანელობს საბჭოს მდივანი.

3. საბჭოს სამდივნოს შემადგენლობაში შედიან წევრი უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები.

4. საბჭოს სამდივნო იკრიბება საბჭოს მდივნის მოწვევით, წელიწადში სულ მცირე ერთხელ.

მუხლი 10. გასაჩივრება

1. საბჭოს გადაწყვეტილების დამტკიცების თაობაზე მინისტრის მოადგილის (სპორტის განვითარების დეპარტამენტის ზედამხედველი) ბრძანება საჩივრდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სპორტულ ორგანიზაციას, აღიარებაზე უარის თქმასთან ან შეჩერებასთან დაკავშირებით, უფლება აქვს მინისტრის მოადგილის (სპორტის განვითარების დეპარტამენტის ზედამხედველი) ბრძანების გამოცემის შემდეგ მოითხოვოს გადაწყვეტილების დასაბუთება, რომელიც უნდა გაიცეს მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის ვადაში."